## ხელშეკრულება № 160/2

## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (საქონლის შესყიდვა)

(დაფინანსების წყარო:                    )

ქ. გორი                                                                                    20 ოქტომბერი 2015 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი (შემდგომში – შემსყიდველი) მისი დირექტორის ვლადიმერ შუღლიაშვილის სახით (საიდენტიფიკაციო კოდი : 417883035 ) და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „დაფნე" (ს/კ 218075026), წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ჩოდილელის სახით (შემდგომში მიმწოდებელი) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### *1. ხელშეკრულების საგანი*

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ხელშეკრულების საგანია „მიმწოდებლის" მიერ „შემსყიდველისთვის" 2015 წლის 22 ოქტომბრის ჩათვლით დაგეგმილ თეატრალური ფესტივალის მსვლელობის დროს მონაწილეების ლანჩებისთვის საჭირო სხვადასხვა დასახელების მზა საკვები პროდუქტის შესყიდვა.

1.2 შესყიდვა განხორციელდება ერთ პირთან მოლაპარაკებით.

### *2. შესყიდვის ობიექტი*

2.1 შესყიდვის ობიექტია: სხვადასხვა დასახელების მზა საკვები პროქტების მიწოდება

**(CPV** კოდი: 15800000 ).

### *3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება*

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2 შესყიდვის ობიექტის საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს არაუმეტეს – 500 (ხუთასი) ლარს.

### *4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია*

4.1 "მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს "შემსყიდველის" მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს

### *5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები*

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად 2015 წლის 20 ოქტომბრიდან 22 ოქტომბრის ჩათვლით.

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, „მიმწოდებელი" ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა "შემსყიდველისთვის" (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან სასაქონლო ზედნადები)

### *6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი*

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება "შემსყიდველისა" და "მიმწოდებლის" მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

### *7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი*

7.1 „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში

7.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით თანხის "მიმწოდებლის" საბანკო რეკვიზიტებზე გადარიცხვით.

7.3 ანგარიშწორება „შემსყიდველის" მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3 მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არა უმეტეს 30 (ოცდაათი) საბანკო დღის ვადაში.

### *8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

Scanned by CamScanner

8.1 „შემსყიდველს" უფლება აქვს – შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობები.

8.2 „შემსყიდველი" ვალდებულია- მოახდინოს ანგარიშსწორება "მიმწოდებელთან" ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

8.3 უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება

8.4 "მიმწოდებელს" უფლება აქვს: - მოსთხოვოს "შემსყიდველს" შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.5 "მიმწოდებელი" ვალდებულია- მიაწოდოს "შემსყიდველს" შესყიდვის ობიექტი ეტაპობრივად 2015 წლის 20 ოქტომბრიდან 22 ოქტომბრის ჩათვლით არსებულ პერიოდში.

8.6 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისათვის

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესები.

## 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მისი ხელის მოწერის დღიდან – 2 (ორი) კალენდარული თვის ვადით.

## *11. ხელშეკრულების პირობების გადახინჯვის შესაძლებლობა*

წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია. თუ ამ ცვლილებების შედეგად წინამდებარე ხელშეკრულების პირობების მათ შორის ფასის შეცვლა თუ ამ ცვლილებების შედეგად იცვლება იზრდება ხელშეკრულებების პირობების შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, ხელშეკრულების პირობების გადახინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## *12. ფორს-მაჟორი*

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე

12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტხანს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## *13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი*

13.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე

13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

Scanned by CamScanner

### *14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები*

14.1 "შემსყიდველი" უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და "შემსყიდველის" მოთხოვნებთან.

14.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას "შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს "შემსყიდველი" ორგანიზაციის დირექტორი.

14.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს" წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელსაყრელ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს", საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### *15. სხვა პირობები*

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2 არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიაანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

### *16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები*

"შემსყიდველი"

ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის

მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-

საგანმანათლებლო ცენტრი

მის.: ქ. გორი, მშვიდობის გამზ. №12ა

ბანკი: სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი: TRESGE22

ს/ნ: 417883035

/ გ. შუდლიაშვილი /

"მიმწოდებელი"

შპს "დაფნე"

ს/კ: 2178075026

მის.: ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ№26

სს "პროკრედიტ ბანკი"-ს გორის ფილიალი

ბანკის კოდი: MIBGGE22

ა/ა: GE68PC01436001000[illegible]

/ [illegible] /

Scanned by CamScanner

# მიღება-ჩაბარების აქტი

(ხელშეკრულების პირობების შესრულების შესახებ)

ქ. გორი

22 ოქტომბერი 2015 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი (შემდგომში – შემსყიდველი) მისი დირექტორის ვლადიმერ შუღლიაშვილის სახით (საიდენტიფიკაციო კოდი : 417883035 ) და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „დაფნე" "(ს/კ 218075026), წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ჩრდილელის სახით (შემდგომში მიმწოდებელი) ვადგენთ წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ 2015 წლის 20 ოქტომბრის ხელშეკრულების (სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (საქონლის შესყიდვა)) მოთხოვნათა შესაბამისად, "მიმწოდებელმა" "შემსყიდველს" 2015 წლის 20 ოქტომბრიდან 22 ოქტომბრის ჩათვლით თეატრალური ფესტივალის მონაწილეებისთვის მიაწოდა (სულ სამჯერ) სხვადასხვა დასახელების მზა კვების პროდუქტი. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს – 498.33 (ოთხასოთხმოცდათვრამეტი ლარი და ოცდაცამეტი თეთრი) ლარს.

აქტის სისწორეს ვადასტურებთ ხელმოწერებით

შემსყიდველი

მიმწოდებელი

ვ. შუღლიაშვილი

დ. ჩრდილელი

Scanned by CamScanner